ანგარიში

აფხაზეთის ავტონომური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს 2020 წლის ანგარიში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ

2020 წლის საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროში სულ 6 მოთხოვნა შემოვიდა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე. საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე ყველა მოთხოვნაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს მიერ პასუხი გაეცა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს გააჩნია მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს სამინისტროს თანამშრომელთა პერსონალურ მონაცემებს და მათზე წვდომა გააჩნიათ უწყების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს მათი კომპეტენციის ფარგლებში. ამასთან, საანგარიშო პერიოდში საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემა არ მომხდარა.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლისკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლისკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, ასევე არ მომხდარა კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვა.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

ივანე დოლიძე

მინისტრი

სამინისტროს ცენტრალური აპარატი